

**ქვეყნის კვების პროდუქტებით თვითუზრუნველყოფის მაჩვენებელი 40%-ზე ნაკლებია**

ბოლო მონაცემებით, საქართველოს კვების პროდუქტებით თვითუზრუნველყოფის მაჩვენებელი 40%-ზე ნაკლებია. სტატისტიკის მონაცემებით, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტი 2,7-ჯერ გაიზარდა 2003-2013 წლებში, ხოლო იმპორტი - 6,25-ჯერ. ამავე დროს, 2013 წელს სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტმა შეადგინა 162,6 მლნ აშშ დოლარი, ხოლო იმპორტმა 179,6 მლნ აშშ დოლარი. თუ ქართული სოფლის მეურნეობის პროდუქცია ადგილობრივი ბაზრის 100% ფლობდა, ახლა მას 75% უჭირავს, წერს გაზეთი. "მრავალი სახის პროდუქციის წარმოება შეჩერებულია საქართველოში, მათ შორისაა წითელი ჭარხალის, სტაფილოს, ადრეული ბოსტნეულის და ა.შ. კომერციული წარმოება", აცხადებს ექსპერტი პაატა კოლუაშვილი. ექსპერტ შოთა ჩხეიძის აზრით, სოფლის მეურნეობის პროდუქცია შემცირდა 3-ჯერ 1990 წლიდან და ორჯერ - 2004 წლიდან. ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურები შემცირდა 2-ჯერ და არის საშუალოდ 3-ჯერ ნაკლები, ვიდრე განვითარებულ ქვეყნებში, აღნიშნავს იგი და წინა ხელისუფლების არასწორ სოფლის მეურნეობის პოლიტიკას ასახელებს ამის მიზეზად. ექსპერტი თამაზ კუნჭულია ამბობს, რომ საწვავის ფასი ასევე იწვევს ადგილობრივი წარმოების არაკონკურენტუნარიანობას.

*ECONOMIC PRESS MONITOR, 1 ოქტომბერი, 2013*

**მთელ რეგიონში ყველაზე ძვირადღირებული პური საქართველოშია**

გაზეთის ინფორმაციით, 1 კგ პურის ღირებულება შეადგენს 1,50 ლარს თბილისში, 0,86 ლარს (ექვივალენტი) - ბაქოში, 0,9 ლარს - კიევში, 0,93 ლარს - ერევანში, 1,10 ლარს - მინსკში და 1,67 ლარს მოსკოვში. გაზეთი მიუთითებს, რომ ყველა ეს ქვეყანა, უკრაინისა და რუსეთის გარდა, ხორბლის იმპორტიორია. პურ-პროდუქტების ასოციაციის თავმჯდომარე მალხაზ დოლიძის განცხადებით, გარდა ძვირი ენერჯისა, პურის ფასს თბილისში ზრდის შუალედური რგოლი (დისტრიბუცია). პურის საწყისი ღირებულებაა 1,10 ლარი, აღნიშნავს იგი და დასძენს, რომ მაღაზიები 10-20%-ს ამატებენ მწარმოებლის ღირებულებას. თავის მხრივ, ლევან სილაგავა, ხორბლის ასოციაციის პრეზიდენტი, თვლის, რომ აუცილებელია ხორბლის ნათესების გაზრდა. მისი თქმით, ხორბლით თვითუზრუნველყოფის მაჩვენებელი 10-15%-ია საქართველოში და თუ მივაღწევთ მინიმუმ 50%-ს, ეს იქნება სერიოზული შედეგი. ამასთან, როგორც სილაგავა აღნიშნავს, საქართველოში არის 4 დიდი მარცვლეულის ელევატორი, თუმცა ყველა მათგანს ფლობს ერთი კერძო კომპანია, რომელიც არარეზიდენტის საკუთრებაა. „არ არის გამორიცხული, რომ კრიზისის შემთხვევაში, ის გაგზავნის ხორბალს თავის სამშობლოში ჩვენი ქვეყნის ნაცვლად“, აცხადებს სილაგავა.

*ECONOMIC PRESS MONITOR, 1 ოქტომბერი, 2013*

**რეზონანსი: „მილიარდერთა ფონდი მილიონიანი პროექტებისთვის“**

საქართველოს თანაინვესტირების ფონდის აღმასრულებელი დირექტორის გიორგი ბაჩიაშვილის განცხადებით, ამ დროისთვის ფონდში უკვე 10-მდე პროექტი განიხილება. „გათვლა იქნება 7-დან 9 წლამდე ღირებულების პროექტებზე, რომელთა საშუალო ღირებულება 5 მილიონ აშშ დოლარზე მეტია“, აღნიშნავს ის. სოფლის მეურნეობასა და ლოგისტიკაში ფონდის მმართველი დირექტორი გიორგი კიკვაძე ერთ-ერთ პროექტად სამტრედიის თანამდგომარეობის ქარხნის აშენებას ასახელებს. ენერგეტიკის, ინფრასტრუქტურისა და მრეწველობის სექტორში ფონდის მმართველის ირაკლი მენაბდის განცხადებით კი, გარდა საშუალო და დიდი ზომის ჰესების მშენებლობისა, უნდა იყოს განხილული ნახშირის კომერციული რეალიზაციის შესაძლებლობა. სტატიაში მოყვანილია „Liberty Bank“-ის ხელმძღვანელის ლადო გურგენიძის კომენტარი, რომელიც ფონდის შექმნას დადებითად აფასებს, თუმცა თავად ფონდში პროექტების შეტანას არ გეგმავს.

*ECONOMIC PRESS MONITOR, 1 ოქტომბერი, 2013*

**სახელმწიფო კომპანიებმა შეიძინეს ყურძნის მოსავალის 16%**

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცნობით, სახელმწიფო კომპანიებმა შეიძინეს და გადაამუშავეს 12 480 ტ ყურძენი (ანუ მთლიანი 80 098 ტ-ის 15,6%). სამინისტროს განცხადებით, გასულ წელს სახელმწიფო კომპანიების წილმა გადაამუშავებული ყურძნის (52 000 ტ) რაოდენობაში შეადგინა 65% (ანუ 33 800 ტ). 81 კომპანიიდან, რომლებიც ჩართული იყო ყურძნის შესყიდვებში წელს, 79 არის კერძო კომპანია, ხოლო 2 - შპს „გრუზვინპრომი“ და შპს „აკური“ - არის სახელმწიფო საკუთრებაში. სამინისტრომ აღნიშნა, რომ კერძო სექტორისთვის იაფი კრედიტების და სუბსიდირებული ფასების გამო, მოთხოვნა საფერავზე (წითელი ჯიში) ძალიან მაღალი იყო და საფერავის მოსავალი კერძო კომპანიებმა სრულად აითვისეს.

თავის მხრივ, სახელმწიფომ უნდა შეიძინოს მხოლოდ თეთრი ჯიშების ჭარბი მოსავალი. კერძოდ, „გრუზვინპრომმა“ შეიძინა მხოლოდ 190 ტ დაზიანებული საფერავი, ხოლო დარჩენილი შესყიდვები განხორციელდა ყურძნის თეთრ ჯიშებზე, აღნიშნავს სამინისტრო. გარდა ამისა, სოფლის მეურნეობის სამინისტრომ აღნიშნა, რომ იმის გამო, რომ კერძო სექტორის ინტერესი ნაკლები იყო სიღნაღის და ლაგოდეხის თეთრ ყურძენზე, მოსავალი ამ რაიონებში სახელმწიფო საწარმოების მიერ იყო შეძენილი.

*DAILY NEWS*, 30 სექტემბერი, 2013

### **რქაწითელი გადამუშავებული ყურძნის თითქმის 65%-ს შეადგენს**

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცნობით, 29 სექტემბრის მდგომარეობით 80 098 ტ ყურძენი შეძენილი და გადამუშავებული იყო კახეთში (ქვეყნის მთავარ ყურძნის რეგიონში), რაც გასული წლის (52 000 ტ) ყურძნის საერთო მოცულობის 54 %-ია. ამასთან, რქაწითელი (თეთრი ჯიში) 64,5 %-ია (ანუ 51 661 ტ), ხოლო საფერავი (წითელი ჯიში) - 31,9 % (ანუ 25 571 ტ). სამინისტრომ აღნიშნა, რომ განსაკუთრებული მოთხოვნა არის მევენახეობის სპეციალურ რაიონებში მოყვანილ საფერავზე (მუკუზანი, ახაშენი, ქინძმარაული), რომელიც გამოიყენება ორიგინალური დასახელების ღვინოების საწარმოებლად. ამასთან დაკავშირებით, ფასების მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა ახლახანს და მიაღწია 2,10 ლარს 1 კგ-ზე. თუმცა, მხოლოდ 76 ტონა ყურძენი იყო ამ ფასად შეძენილი, აღნიშნა სამინისტრომ. საფერავის კრეფა უკვე დასრულდა და მისი ყოველდღიური გადამუშავება შეადგენს დაახლოებით 30-40 ტ-ს. თავის მხრივ, რქაწითელის ყველაზე მაღალი ფასი შეადგენს 1,40 ლარს 1 კგ-ზე და ამ ფასად 72 ტ იქნა შეძენილი ძირითადად წინანდალის ზონაში. კახური მწვანეს ყველაზე მაღალი ფასი იყო 1,45 ლარი, რაც გადახდილი იყო 98 ტ ყურძენში ძირითადად მანავის ზონაში, აღნიშნა სამინისტრომ. რთველი დაიწყო 25 აგვისტოს და უნდა დასრულდეს მალე.

*DAILY NEWS*, 30 სექტემბერი, 2013

### **რამდენს „მოიწველება“ გახარჯული მილიარდი**

გაზეთი აქვეყნებს ინტერვიუს სოფლის მეურნეობის მინისტრ შალვა ფიფიასთან. ბოლო ცხრა თვეში უფრო მეტი გაკეთდა, ვიდრე ცხრა წელიწადში, აცხადებს ის. მცირემიწიან ფერმერთა დახმარების პროგრამის ფარგლებში 710 ათასმა ოჯახმა მიიღო სასოფლო-სამეურნეო დახმარება, რითაც მოხდა მათი დანახარჯების 40-45%-ის სუბსიდირება. წლეულს პირველად დამუშავდა 430 ათას ჰექტარამდე სავარგულები, რაც წინა წლების მაჩვენებელზე თითქმის ორჯერ მეტია. შარშან მთელ ქვეყანაში მხოლოდ 24 ათასი ჰექტარი მიწა ირწყვებოდა, წლეულს, მაისის ბოლოსთვის, ირწყვებოდა 50 ათასი ჰექტარი, წლის ბოლომდე კი თვითდინებით 70 ათასი ჰექტარი მოირწყვება. ჩვენი მიზანია შემდეგ ოთხ წელიწადში 250 ათას ჰექტარამდე ფართობის ირიგაცია. მინისტრის განცხადებით, სახელმწიფო შესყიდვების დიდი ნაწილი ქართულ პროდუქციაზე იქნება ორიენტირებული. თუმცა, პასუხი კითხვაზე, რომელიც დაისვა სტატიის სათაურში „რამდენს „მოიწველება“ გახარჯული მილიარდი“ არ არის.

*ECONOMIC PRESS MONITOR*, 30 სექტემბერი, 2013

### **რეკორდული მოსავალი - ფერმერები 600 ათას ტონა სიმინდის მოსავალს აიღებენ!**

სოფლის მეურნეობის სამინისტრო იმედოვნებს, რომ სიმინდის მოსავალი 600 000 ტონა იქნება წელს, ხოლო დათესილმა ფართობმა შეადგინა 174 000 ჰა. შარშან დაახლოებით 267 000 ტონა მოსავალი აიღეს 114 000 ჰა-ზე. შესაბამისად, წლევანდელი მოსავლიანობა შეადგენს 3,5 ტ-ს 1 ჰა-ზე გასული წლის 2,4 ტ-ისგან განსხვავებით. 1 კგ სიმინდის ფასი 1,50-2,00 ლარის ფარგლებშია ამჟამად, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ სიმინდის ფასი შემდეგ თვეებში ცოტა შემცირდეს. ქართველი ექსპერტების თვალსაზრისით, სიმინდის კარგი მოსავალი განპირობებულია წვიმებით გაზაფხულზე, ასე რომ, ასევე უხვია ხორბლის, თხილის, ციტრუსების, ყურძნის და ზოგიერთი ბოსტნეულის მოსავალიც.

*ECONOMIC PRESS MONITOR*, 27 სექტემბერი, 2013

### **რა უნდოდათ გაეგოთ ეკონომიკის ექსპერტებს სოფლის მეურნეობის მინისტრისგან და რა ხდება მთავრობის ეკონომიკურ გუნდში?**

სოფლის მეურნეობის მინისტრი შალვა ფიფია აცხადებს ინტერვიუში გაზეთთან "ჩვენ გვაქვს ეკონომიკური ზრდა, მაგრამ ის უფრო დაბალია, ვიდრე საზოგადოება ელოდება". "ჩვენ გვაქვს უმნიშვნელო ზრდა, მაგრამ ბიზნესი არის თავისუფალი", დასძენს ის. რაც შეეხება სოფლის მეურნეობის დარგს, ფიფია ამტკიცებს, რომ ფასების ზრდა სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე მოსალოდნელი არ არის. მინისტრის განცხადებით, 131 მილიონ ლარზე მეტია გამოყოფილი 6 თვის განმავლობაში შეღავათიანი სოფლის მეურნეობის სესხების პროგრამის ფარგლებში", რაც გეგმას „3-ჯერ აღემატება“.

დაგეგმილი 100 გადამამუშავებელი საწარმოდან, 51 უკვე დაფინანსებულია, აღნიშნავს იგი. რაც შეეხება რთველს, ფიფია აღნიშნავს, რომ "მიმდინარე რთველს აღარ აქვს პოლიტიკური ხასიათი". ამავე დროს, ჩვენ ელექტრონულად ვახდენთ ყურძნის მოცულობის რეგისტრაციას, რომელიც შეიძინა ცალკეულმა საწარმოებმა და ეს არის სიახლე, აღნიშნავს იგი. მინისტრი შეეხო სურსათის უვნებლობის კონტროლს და აცხადებს, რომ 60 ინსპექტორის დამატება საბაჟოზე იგეგმება, ხოლო პროდუქციის ეტიკეტზე იქნება ინფორმაცია გენმოდირებულობის შესახებ 2014 წლის ნოემბრიდან. როგორც სტატიაშია აღნიშნული, პრემიერ მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა ასევე აღიარა ექსპერტებთან შეხვედრის დროს, რომ ეკონომიკა არის სუსტი რგოლი. რა თქმა უნდა, ეკონომიკა ვერ აღორძინდება ერთ წელიწადში და არავინ ელის სასწაულებს ამ მიმართულებით, მაგრამ, სამწუხაროდ, ხელისუფლების კონკრეტული ნაბიჯები არ ჩანს, აღნიშნულია გაზეთის სტატიაში.

*ECONOMIC PRESS MONITOR, 27 სექტემბერი, 2013*

### **სამცხე-ჯავახეთის აგრარული პოტენციალის მხოლოდ მესამედია გამოყენებული**

როგორც სამცხე-ჯავახეთის განვითარების სტრატეგიაშია აღნიშნული (2014-2021 წლები), ეს არის მკვეთრად გამოხატული აგრარული რეგიონი, სადაც სოფლის მეურნეობის წილი მთლიან დამატებულ ღირებულებაში ყველაზე დიდია (32%). მიუხედავად იმისა, რომ სტრატეგიის მიხედვით რეგიონის პროდუქტიულობის საშუალო მაჩვენებლები ქვეყნის შესაბამის მაჩვენებლებზე მაღალია (როგორც მემცენარეობაში, ასევე მეცხოველეობაში), არსებული პოტენციალის მხოლოდ მესამედია გამოყენებული, ნათქვამია დოკუმენტში. კერძოდ, სოფლის მეურნეობის წარმოება ექსტენსიური ხასიათისაა და მისი პროდუქცია დაბალ კონკურენტულია იმპორტირებულთან შედარებით, ამასთან, რეგიონის სოფლის მეურნეობის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემაფერხებელი ფაქტორია მელიორაციის სისტემის გაუმართაობა. დოკუმენტის თანახმად, რეგიონში არსებული სარწყავი სისტემა უზრუნველყოფს მთლიანი სახნავი სავარგულების დაახლოებით 15%-ის მორწყვას, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს სოფლის მეურნეობის განვითარებას. აღსანიშნავია, რომ სამცხე-ჯავახეთში პროდუქციის წარმოების 90%-ზე მეტი მცირე ზომის შინამეურნეობებშია კონცენტრირებული. შინამეურნეობების 73% სოფლის მეურნეობის პროდუქტებს ძირითადად საკუთარი მოხმარებისათვის აწარმოებს, ხოლო დანარჩენი 27%-სთვის სოფლის მეურნეობა შემოსავლის წყაროს წარმოადგენს. დოკუმენტის თანახმად, სამცხე-ჯავახეთის კარტოფილით ნათესი ფართი ქვეყნის მასშტაბით ნათესების 52%-ს შეადგენს (2011 წ.), ასევე რეგიონში კონცენტრირებულია ქვეყანაში არსებული მთელი პირუტყვის დაახლოებით 9-14%; ხოლო ფუტკრის ოჯახების დაახლოებით 10%.

*DAILY NEWS, 27 სექტემბერი, 2013*

### **სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოშვება 11,5%-ით არის გაზრდილი**

საქსტატის წინასწარი მონაცემებით, 2013 წლის მეორე კვარტალში სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოშვებამ 790,5 მილიონი ლარი შეადგინა. 2012 წლის ანალოგიური პერიოდის წინასწარ მონაცემთან შედარებით, ეს მაჩვენებელი 11,5%-ით არის გაზრდილი. საანგარიშო პერიოდში მარცვლოვანი კულტურებისა და სხვა კულტურების მოყვანა 159,1 მილიონ ლარს შეადგენს (ზრდა - 13,3%); ხილის, კაკლის, სასმელებისა და სუნელ-სანელებლების წარმოებისთვის საჭირო კულტურების - 112,3 მილიონ ლარს (ზრდა - 27,9%); ბოსტნეულის მოყვანა, სპეციალიზებული მეხაღებობა და სანერგე პროდუქციის წარმოება - 87,5 მილიონ ლარს (ზრდა - 24,8%); მეცხოველეობა - 401 მილიონ ლარს (ზრდა - 4,4%); სასოფლო-სამეურნეო მომსახურება - 30,4 მილიონ ლარს (ზრდა - 13,3%). აღსანიშნავია, რომ პირველ კვარტალში აგრობიზნესის პროდუქციის მთლიანმა გამოშვებამ 1,54 მილიარდი ლარი შეადგინა. ეს მაჩვენებელი კი გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 6%-ით იყო გაზრდილი. ცნობისთვის, საქსტატის დაზუსტებული შეფასებები 15 ნოემბერს გამოქვეყნდება.

*DAILY NEWS, 24 სექტემბერი, 2013*

### **პომიდვრისა და კარტოფილის ექსპორტმა ყველანაირი რეკორდი მოხსნა**

„საქსტატის“ ინფორმაციით, პომიდვრის ექსპორტმა მე-2 კვარტალში 601 500 აშშ დოლარი შეადგინა (წინა წლის იგივე პერიოდის 175 800 აშშ დოლარის ნაცვლად). კარტოფილის ექსპორტი კი - 311 400 აშშ დოლარი გახდა (96 800 აშშ დოლარის ნაცვლად). ნინო ზამბახიძე, ფერმერთა ასოციაციის ხელმძღვანელი, ამბობს, რომ ბოსტნეული ძირითადად თურქებმა, აზერბაიჯანელებმა და სომხებმა შეიძინეს. გაზეთი ხაზს უსვამს, რომ ქართული ბოსტნეული თავისუფლად ვერ შედის ყველაზე მიმზიდველ რუსეთის

ბაზარზე ჯერ კიდევ. ქართული მხარე ელოდება რუსეთის სასოფლო-სამეურნეო ზედამხედველობის სამსახურის გადაწყვეტილებას. აქამდე ქართული ბოსტნეულის ექსპორტი რუსეთში ხდებოდა შემოვლითი გზით, აზერბაიჯანის, ბელორუსის და ყაზახეთის გავლით. ექსპერტი ალექსანდრე ლომოური აცხადებს, რომ „ქართულ ბოსტნეულს აქვს დიდი საექსპორტო პოტენციალი, მაგრამ ჯერჯერობით შიდა მოთხოვნასაც ვერ აკმაყოფილებს“.

*ECONOMIC PRESS MONITOR*, 24 სექტემბერი, 2013

### **საქართველოს, უკრაინის, რუსეთის და ბალტიის ქვეყნების სომელიეთა ასოციაციები თანამშრომლობას აღრმავენ**

მემორანდუმი, რომელსაც საქართველოს ღვინის ეროვნულმა სააგენტომ ხელი მოაწერა დღეს თბილისში საქართველოს, უკრაინის, რუსეთის, ლატვიის, ლიტვის და ესტონეთის სომელიეთა ასოციაციებთან, ითვალისწინებს თანამშრომლობის გაღრმავებას. ლევან დავითაშვილმა, სააგენტოს უფროსმა, განაცხადა, რომ მემორანდუმი ხელს შეუწყობს ქართული ღვინის შესახებ ინფორმაციის გავრცელებას. თანამშრომლობა ითვალისწინებს აღნიშნული ასოციაციების მარკეტინგულ საქმიანობას ქართული ღვინის ხელშეწყობის მიზნით. როგორც ითქვა ხელმოწერის ცერემონიაზე ქართული ღვინისა და სხვა ალკოჰოლური სასმელების პრიორიტეტული ბაზრები 2013-2014 წლებში არის აშშ, ევროპა (მათ შორის, ბალტიისპირეთის ქვეყნები) და რუსეთი.

*DAILY NEWS*, 23 სექტემბერი, 2013

### **ღვინისა და სათავგადასავლო ტურიზმის სეზონი გაიხსნა**

ოფიციალური მონაცემებით, ვიზიტორთა რაოდენობა საქართველოში იზრდება, მაგრამ ტურისტული კომპანიების უმრავლესობა საუბრობს ტურისტების შემოდინების შემცირებაზე, ვკითხულობთ სტატიაში. განუვითარებელი ინფრასტრუქტურა და დაბალი ხარისხის მომსახურება სახელდება მიზეზებად. „უცხოელები ჩამოდიან ქვეყანაში, მაგრამ ეს არ არის ტურიზმის დეპარტამენტის მიღწევა“, თვლის „ლევონ თრეველის“ მენეჯერი ირაკლი გვენეტაძე. „პოზიტიური ცვლილებები არ შეინიშნება ამ სფეროში და ბევრი პრობლემა არსებობს“. ღვინის ტურებზე მოთხოვნა ძირითადად შემოდგომაზეა. „იმპერია თრეველის“ ინფორმაციით, 3 დღიანი ტური კახეთში (მევენახეობის მთავარ რეგიონში) ღირს საშუალოდ 200 აშშ დოლარი ერთ სულზე.

*ECONOMIC PRESS MONITOR*, 20 სექტემბერი, 2013

### **საქართველოს სოფლის მეურნეობის ფინანსური ბიულეტენი**

ჩვენი წევრი Business & Finance Consulting (BFC) აქვეყნებს საქართველოს სოფლის მეურნეობის ფინანსურ ბიულეტენს საინტერესო თემებზე. 2013 წლის სექტემბრის გამოცემას გაეცანით **ამ მისამართზე**.

<http://agrogeorgia.blog.com/>